



საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 40 87

29/11/2018

**ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების თხოვების ფორმით
 ა(ა)იპ „ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ დირექციისათვის გადაცემაზე ხონის
 მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. თანხმობა მიეცეს ხონის მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ დირექციისათვის (ს/ნ 244973294) ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანა VAZ 2107, სახელმწიფო ნომერი - LLK589, გამოშვების წელი-1999, საბალანსო ღირებულებით - 1100.0 (ერთი ათას ასი) ლარი) თხოვების ფორმით, 3 (სამი) წლის ვადით გადაცემის თაობაზე.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ძმები ნინუების ქ. #1) ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია კანონით დადგენილი წესით ხელმოწერისთანავე.

ბახტაძე ვალერი

საკრებულოს თავმჯდომარე

